

ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია, მშვიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტების ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, - გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა ჰქივის და ჰლადადებს სახოციელო პურისათვის, ის იმდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმისათვის, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი.

ილია ჭავჭავაძე

ჭეშმარიტი კულტურის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის ადამიანის წარმართვა უმაღლესი ფასეულობებისაკენ, იგი თითქოს არის სათვალე, რომელიც მორგებული აქვს სინათლე ნაკლულ ადამიანს, რომ უკეთ დაინახოს ნათელი.

საერთოდ ყველა კულტურული, რელიგიური თუ ფილოსოფიური მიმდინარეობა კაცობრიობის წინაშე მდგარ ერთი და იგივე მარადიულ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახება და მიზნად: რა მიმართებაშია ერთმანეთთან მატერიალური და სულირი სამყარო, ცვალებადი და მარადიული, სასრული და უსასრულო.

ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერი სფეროში ძალზე მნიშვნელოვანია საგნებისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება და მათთვის სწორი სახელის შერჩევა.

სხვადასხვა კულტურულ გარემოში კერძო საკუთრებისადმი და საერთოდ ქონებისადმი, მისი თანმდევი პროცესებისა და ურთიერთობებისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებულად ყალიბდებოდა. სულიერსა და მატერიალურს შორის მცხოვრები მოაზროვნე ადამიანი ამ ორ სამყაროს შორის საუკეთესო ბალანსის დაცვას ცდილობდა. ეს ცხოვრებისეული გამოცდილება აისახებოდა, როგორც პიროვნებაზე, ისევე ერზე და რაიმე სამეურნეო ჯგუფზე ამ ერში.

დაბადების წიგნშივე ჩანს პირველი შემთხვევები ყიდვა-გაყიდვებისა. ებრაელებში შიდა გაყიდვები შეზღუდული იყო, რადგან ნივთების თუ სხვა დოვლათის გაცვლა საზოგადოების ერთობას კრავს, ყიდვა-გაყიდვები კი ზასღვრებს უდებს ურთიერთობებს. აბრაამმა იმიტომაც უთხრა უარი ხეთელ ეფრონს სარას დასასაფლავებელი მიწის ჩუქებაზე და იყიდა იგი, რომ ხაზი დაესვა ებრაელთა განსხვავებულობაზე. ესავსა და იაკობს შორის კი ყიდვა-გაყიდვა დამთავრდა მტრობით, დიდძალი ძღვენის მირთმევით კი მოხდა მათი შერიგება.

ამერიკელ ინდიელებს ტრადიცია ჰქონდათ საჩუქრების ჩუქებისა, მათ გააჩნდათ გარდამავალი საჩუქრები, ერთმანეთს ჩუქნიდნენ ამ საჩუქრებს და ასე ხელიდან ხელში მიმოდიოდა ეს ნივთები. მათ იცოდნენ, რომ უანგაროდ რაიმე სიკეთის სხვისთვის მიძღვნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ისინი ამით თავიანთ საზოგადოებას ერთობას მატებდნენ. ინდიელების აზრით თუ საჩუქარი

ვინმესთან დარჩებოდა, დააზიანებდა მას და გარყვნიდა, რადგან ის ნივთი ეგოისტური შეგროვების მიზნად გადაეჭყეოდა მას. ამერიკის კონტინენტზე ჩასულ ევროპელებსაც გადასცეს მათ ეს საჩუქრები. ინდიელები ელოდნენ, რომ მოგვიანებით უცხო ტომელები საჩუქრებს კვლავ მათ დაუბრუნებდნენ და ძალიან გაუკვირდათ, რომ ვერაფერი მიიღეს უკან.

ეს არის მაგალითი ორი სხვადასხვა დამოკიდებულებისა, სხვადასხვა კულტურის სრულიად მოულოდნელი კუთხით შეხვდრისა ერთმანეთთან. კულტურათა და ტრადიციების ამგვარი შეხვედრა გაცილებით ინტენსიური ხდება გლობალიზაციის ეპოქაში.

ჩვენს რეალობაში, საბჭოთა პერიოდის შემდეგ და ქრისტიანული ცხოვრებისადმი მზარდი ინტერესის პერიოდში, მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, თუ რატომ უჭირს ადამიანს დღევანდელ ეკონომიკურ გარემოში ორიენტირება. თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი კანონზომიერებები ნაკარნახევია კაპიტალიზმის მიერ და რადგანაც ამ წესწყობილებას ჩვენში დიდი ხანი არ არის რაც შემოულწევია, გამოცდილებაც მასთან ურთიერთობაში ნაკლებად გააჩნია ხალხს.

საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა ცნობიერება საბჭოთა პერიოდის დასრულებასთან ერთად თითქმის ერთდროულად იწყებდა ერთი მხრივ ტაბუდადებულ ქრისტიანულ მოძღვრებასთან და მეორე მხრივ კი ასევე ტაბუდადებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ ურთიერთობათა ინტენსიურ გაცნობას.

ოცი წლის შემდეგ დღესაც თანამემამულეთა მრავალი, როგორც ეკონომიკური ასევე სულიერი თვალსაზრისით მეტად საზიანო გადაწყვეტილებების ხშირი მოწმენი ვხვდებით.

მაგალითად ღირს მოვიყვანოთ; თუ ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ თავისი წინდაუხედავობით და დიდი თავმომწონეობით, როგორ გაყიდა მამაპაპისეული სახნავ-სათესი მიწები უცხოელებზე, იყიდეს ძვირადძირებული უცხოურივე ავტომანქანები და დაემსგავსნენ იმ აბორიგენებს რომლებსაც შუა საუკუნის ევროპელი კოლონიზატორები ფერად შუშებში, თუთუნსა და სპირტიან სასმელებში უცვლიდნენ ოქროსა და მარგალიტს, ოღონდ ფერადი შუშები დღეს სხვა ნივთებმა შეცვალა.

ბევრი სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება ქართველებს შორის წარმოქმნილი მცირე თუ მნიშვნელოვანი გაუგებრობებისა, უნდობლობისა, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში.

მოსახლეობის დიდი ნაწილი რომ ჩართულია აზარტულ თამაშებში და წინასწარ განსაზღვრულ წარუმატებელ ფინანსურ სქემებში - მახეებში, ორმაგი უცოდინრობის ნიმუშია. როგორც სულიერისა ასევე მატერიალურისა.

გაუგებართათვის გაუგებრობა ისეთივე ბოროტებაა,

როგორც უსინათლობა უსინათლოთათვის.

პლუტარქე

საზოგადოებაში ეკონომიურ ურთიერთობათა კულტურის ძირითადი შემადგენელი, წინა თაობების მიერ ჩამოყალიბებული ტრადიციული გამოცდილებაა. კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩამოყალიბებული ეკონომიკურ ურთიერთობათა კულტურა, ჩვენს გამოცდილებასთან თანხვედრას შესაძლოა მხოლოდ მცირე ოდენობით პოულობდეს.

კულტურა და რელიგია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ტოვებს კვალს და ამ მხრივ არც ეკონომიკური ურთიერთობებია გამონაკლისი.

ალბათ აქტიურ შესწავლას საჭიროებს ის სირთულეები რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ადამიანისათვის რელიგიურ აღქმაზე ან ეთიკურ ნორმათა გაუცხოებაზეა აღმოცენებული.

დღეს ჩვენ ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ერთის მხრივ ცდილობენ დაიცვან ქრისტიანული ასკეზის პრინციპი პირადი ქონების დაგროვების შესახებ სახარების სიტყვებისაებრ - ნუ ზრუნავთ და ამბობთ: რა ვჭამოთ ან რა ვსვათ, ან რა შევიმოსოთ? რადგან ყოველივე ამას წარმართები ეძიებენ. რადგან იცის თქვენმა ზეციერმა მამამ, რომ გჭირდებათ ეს ყოველივე. ხოლო ეძიეთ პირველად სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი, და ეს ყოველივე შეგემატებათ თქვენ. ამიტომ ნუ ზრუნავთ ხვალისათვის, რადგან ხვალე იზრუნებს თავისთვის. საკმარისია ღღისთვის ბოროტება მისი.. მთ(6.31-33). ამ სიტყვების განურჩევლად გამგებელთათვის მატერიალური ქონება თითქმის ბოროტებაა, მეორეს მხრივ კი არსებული სოციალური რეალობა და აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნები იძულებულს ხდის მათ ჩაერთონ გარკვეულ ეკონომიკურ პროცესებში.

ის ვინც რელიგიურ ახსნას ეძებს ადამიანის ქონებისადმი დამოკიდებულებაში საჭიროა გაითვალისწინოს, რომ მამათა სწავლებაში ჩანს ორგვარი დამოკიდებულება კერძო ქონებისადმი, მართლმადიდებლური ეთიკის ადამიანს ორივე შემთხვევაში ესაჭიროება კონკრეტული ხედვის ჩამოყალიბება.

ერთი თვალსაზრისი, არის რა მატერიალურ სიმდიდრეში ადამიანის ღვთისაგან დაშორების საშიშროება, ზღუდავს ადამიანის მისწრაფებას იყოს მდიდარი; ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი მიუთითებდა, რომ მოწყალეობაც კი არ იქნებოდა მდიდარის მხსნელი მისი დანაშაულისაგან და ვერ დაუმკვიდრებდა ცათა სასუფეველს: მდიდარი „დამნაშავეა მათ სიკვდილში ვინც იმ დროს სიცივითა და შიმშილით კვდებოდა. რადგან მას შეეძლო მათი გამოკვება, მაგრამ არ გამოკვება, არამედ მიწაში დაფლა ის რაც ღარიბებს ეკუთვნოდათ, მიატოვა რა ისინი სიცივისაგან და შიმშილისაგან მოსაკვდომად..“

მეორე შეხედულება უკავშირდება წმ. კირილე ალექსანდრიელს, რომელიც საკუთრებას ადამიანის ხელში იარაღად მიიჩნევდა. მთავარი აქ ადამიანის დამოკიდებულებაა მისთვის ღვთისაგან მინდობილი ქონებისადმი. მისი ნებით იმართება ქონების სიკეთისთვის ან ბოროტებისთვის გამოყენება. ან კი საიდან გაიცეს მოწყალეობა თუ არავის არ ექნება გასაცემი?

ამ ორი დამოკიდებულების არსებობა მამათა სწავლებაში შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ მართლმადიდებლობა ანსხვავებს ერთმენეთისაგან საერო და სამონასტრო ცხოვრებას. პირველთ განსაკუთრებული ასკეტური მოთხოვნები არა აქვს, გარდა ღვთის მცნებების

დაცვისა. მეორენი დებენ უპოვარების აღთქმას და მათი იმედის თვალი მხოლოდ ღვთისკენაა მიმართული.

სამყაროს დუალიზმი ადამიანებს სწორად უნდა ესმოდეთ, ადამიანთა იმ ნაწილმა რომელთაც ეკონომიკურ ურთიერთობებში მიუღებელი ეთიკა ან საერთოდ ეთიკის არარსებობა შენიშნა, უნდა გაითვალისწინონ, რომ სახვადასხვა ეთნო ჯგუფებში ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობები შესაბამის კულტურულ გარემოში ყალიბდება, იხვეწება დიდი დროის განმავლობაში და გარკვეულწილად განსაზღვრულია იმ წარმოდგენებით სამართლიანობისა და მორალური ნორმების შესახებ, რომელიც საერთოდ გააჩნია აღნიშნულ კულტურულ-რელიგიურ-სოციალურ საზოგადოებას.

ბოლო პერიოდში გლობალური ეკონომიკური კანონები სულ უფო მეტ გავლენას ახდენენ ნებისმიერ ლოკალურ კულტურულ გარემოში მიმდინარე მცირე ეკონომიკურ ურთიერთობებზეც კი.

გლობალურ ეკონომიკასთან შეხებისას, რომლის მამოძრავებელი ძალებიც განსაზღვრულია არა იმ კულტურისა თუ რელიგიური გარემოს გავლენით სადაც ადამიანი ჩამოყალიბდა, არამედ მისთვის უცხო მოტივაციით, მორწმუნე ადამიანის შინაგანი ეთიკა შესაძლოა მოდიოდეს გარკვეულ წინააღმდეგობაში.

ადამიანი ერთდროულად მემკვიდრეცაა იმ სამეურნეო გამოცდილებებისა რასაც მის მიწა-წყალზე თაობები ეწეოდნენ და თანამედროვე მსოფლიოს გავლენასაც განიცდის.

ეკონომიკური საქმიანობა ისევე, როგორც მედიცინა, ხელოვნება, ან სამხედრო საქმე, ადამიანის მოღვაწეობის ერთერთი კანონიერი სახეა.

ეკლესია მუდამ ახდენდა გავლენას, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე, როგორც ყოფილი ურთიერთობების კულტურის ჩამოყალიბებაზე, ასევე ლიტერატურაზე, განათლებაზე, ხელოვნებაზე. ანალოგიურად ეკონომიკურ ურთიერთობებზეც ქრისტიანული ეთიკა თავის კაცთმოყვარეობრივ გავლენას უნდა ახდენდეს.

როგორი უნდა იყოს ქრისტეს მიმდევარის დამოკიდებულება ეკონომიკური საქმიანობისადმი?

პირველი კურთხევა, შსრომასთან დაკავშირებული სამოთხეშივე გაისმა

19. ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწაჲ ხარ და მიწად-ცა მიიქცე. (დაბად (3))

პატერიკებში ხშირად ვხვდებით ხელსაქმის შესახებ სწავლებას.

ღვაწლის გარეშე წარმოუდგენელია იმ ზნეობრივი თვისებების შექმნა რაც აუცილებელია ჩვენი უკვდავი სულისათვის - ვკითხულობთ უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის 1994 წლის სააღდგომო ეპისტოლეში.

მოციქულთა ეპისტოლეებში ვკითხულობთ.

მპარავი იგი ნულარა იპარავნ, არამედ უფროდს შურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თვისთა ჳელითა, რადთა აქუნდეს მიცემად, ვის-იგი უკმდეს. (ეფ. 4- 28).

მოივსენენით, ძმანო, შურომანი ჩუენნი და რუდუნებანი, რამეთუ ღამე და დღე ვიქმოდეთ, რადთა არავის დაუმძიმოთ თქუენგანსა, და ესრეთ ვქადაგეთ თქუენდა მიმართ სახარებად იგი ღმრთისაჲ. (I ჴეც. II, 9.)

ვეცხლისა და ოქროსა და სამოსლისა არავისი გულმან მითქუა. 34. თქუენ თვთ უწყით, რამეთუ საკმარსა მას ჩემსა და რომელნი იყვნეს ჩემ თანა, ჳელნი ესე ჩემნი ჳმსახურებდეს. (Деян. XX, 34 -35.)

.....

ეკონომიკურ სფეროში ეთიკის აუცილებლობის შესახებ ჯერ კიდევ არისტოტელე საუბრობდა. მან ეკონომიკისაგან, რომელსაც ბუნებრივ მეცნიერებას უწოდებდა გამოყო ეგრეთ წოდებული „ხრემასტიკა“ - მეცნიერება გამდიდრების შესახებ.

არისტოტელეს ეკონომიკის შინაარსი გაიგივებული იყო მეურნეობის მართვის მეცნიერებასთან, რომელიც ადამიანის აუცილებელ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. „ხრემასტიკის“ მიზანი კი მკვეთრად განსხვავებულია პირველისგან, მისი თვითმიზანი სიმდიდრის მოგროვებაა. ხრემასტიკაზე მუშაობს მევახშეობა, თავისი მრავალფეროვნებით.

ტერმინი - „ხრემასტიკა“, როგორც განმასხვავებელი მატერიალური დოვლათის დაგროვების მიმართულებისა არ დამკვიდრდა, მაგრამ ამით ამ მიმართულების შინაარსი და არსებობა არ იცვლება. დღეს ეკონომიკური სკოლები უკვე არ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან ამ ორ სფეროს. არისტოტელეს „ხრემასტიკას“ პირობითად დღეს შეძლება მატერიალური ეკონომიკა ეწოდოს.

აღბათ ამას უნდა მიაქციოს მორწმუნე ადამიანმა ყურადღება და განასხვავოს ერთმანეთისაგან ეს ორი სხვადასხვა მიზნის მქონე მეცნიერება, რომლებიც დღეისათვის ასე შერევია ერთმანეთს. მაშინ მისთვის გაიოლდება განსაზღვრა რა საქმიანობა შეიძლება შეესაბამებოდეს მის ეთიკას და რა არა.

არისტოტელეს „ხრემასტიკა“ მართლმადიდებლური მორალისთვის ცალსახად მიუღებელია, მაშინ როცა მისი „ეკონომიკა“, რომლის მოღვაწეობის საზღვარიც ადამიანის გონივრულ პირად მოხმარებაზე გადის, წინააღმდეგობაში არ მოდის მამათა შეხედულებებთან შრომის შესახებ.

მართლმადიდებლურ სწავლებას სულიერ დონეზე მრავალფეროვნად, მდიდრად შეუძლია განმარტებები დადოს იმ განსხვავებების შესახებ, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. მას დიდი პოტენციალი გააჩნია მატერიალურში სულიერი, ეთიკური საწყისის შეტანისა.

მართლმადიდებელი ადამიანი აკეთილშობილებს სამყაროს უპირველესად საკუთარი თავის სრულყოფის გზით.

თუმცა იმის თქმაც შეიძლება რომ ეკონომიკა თავისთავად მორალის გარეშეა, მაგრამ ეკონომიკაში ჩაბმული ადამიანები გარკვეული ეთიკის მატარებლები არიან და ამგვარად ეკონომიკური ურთიერთობები მასში მონაწილეთა ეთიკის გავლენით მიმდინარეობს.

ფული, დაგროვება

ფილოსოფოსი არისტოტელე, სოკრატეს მოწაფე, თვლიდა, რომ მიზანი ადამიანის ცხოვრებისა არის სხვადასხვა მიწიური სიამეებით ადამიანის ტკბობა. ამ შეხედულებაც არც ერთდროში არ მოკლებია მიმდევრები. (უტილიტარისტები, იერემია ბენტამი, ჯონ სტიუარტი, ადამ სმიტი).

დაგროვების საშუალებად იქცა ფული და ეს ყველასთვის მიღებული ფაქტია დღეს.

თავდაპირველად კი ფულის გაჩენის აუცილებლობა გამოიწვია მეურნეობის პროდუქტების თუ სხვაგვარი სიკეთეების იოლად გაცვლის მოთხოვნილებამ. ფულის დანიშნულება იყო ხელი შეეწყოს და გაეიოლებინა, გაეიაფებინა ამგვარი გაცვლები. მოგვიანებით კი როდესაც ფული იქცა სიმდიდრის დაგროვებისა და სპეკულიაციის საშუალებად, მან შეიძინა თავდაპირველის საპირისპირო ფუნქცია, სხვადასხვა სახის მევახშეობა მიზეზი ხდება სრულიად განსხვავებული პროდუქტებისა და მომსახურების ფასის ზრდისა.

კვლევები ადასტურებს რომ ყოველდღიური მოხმარების საგნების ფასის 50% -მდე მწარმოებლის მიერ კრედიტით სარგებლობის პროცენტი შეადგენს.

ფულის ფუნქციის შეცვლასთან ერთად ეკონომიკამაც შეიძინა გარკვეული სახეცვლილი ფუნქციები, მაგალითისათვის რაც ჩვენი რეალობისათვის აქტუალურია, გაჩნდა ეკონომიკა-მახრობელა. ანუ ეკონომიკა კრედიტორული სისტემების ხელში შესაძლოა იქცეს მთელი სახელმწიფოს მართვის, ზეწოლისა და მანიპულიაციის მოხერხებულ ფარულ ინსტრუმენტად.

ფულის კერპად ქცევის ნიშნები იწყება როდესაც ადამიანი ღვთის იმედად ყოფნას ანაცვლებს სიმდიდრის იმედად ყოფნას. (იგავი ბელელის აღმშენებელ მდიდარზე).

იმისათვის რომ კერპი შემოვიდეს ადამიანში მას გარკვეული მიმზიდველობა უნდა გააჩნდეს. ასეს ხდება, კერპი ადამიანს სთავაზობს იმას, რაც უფლისაგან დადგენილ აქტებში თანაზიარების შედეგად უნდა მიეცეს მას, ოღონდ სხვა გზებით-უფრო “იოლად”.

სიმდიდრეც და სიღარიბეც ორივე განსაცდელია.

ქონება თავისთავად არც სიკეთეა და არც ბოროტება, ასეთად შეიძლება იქცეს მხოლოდ ადამიანის მისადმი დამოკიდებულებით.

კერპებს შვილს სწირავდნენ წარმართები და ღვთის წინაშე აბრაამის სიმართლე იმაშიც მდგომარეობს, რომ თუმცა აბრაამი გარეგნულად იგივე ქმედებაში იმყოფებოდა, მასში ვერ შეაღწია კერპმა, იგი არ შეეჭვებულა, რომ მსხვერპლს თავის ჭეშვარიტ ღმერთს სწირავდა და არა კერპს.

აბრაამი ღმერთს ესავდა, და გაყრისას არჩევანი ლოთს დაუთმო, ლოთმა არჩევანი გააკეთა მიწის ნაყოფიერების მიხედვით, სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობის უპირატესობის მიხედვით და საბოლოოდ სოდომშიც დასახლდა, აბრაამი კი ღვთის ნებას ლოთის არჩევანით ეძებდა, ალთქმის მიხედვით მარცხენა მიწებიც და მარჯვენა მიწებიც მას უნდა დაემკვიდრებინა.

სოლომონის კერპები: სოლომონმა, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, სიმდიდრის დაგროვების მიზნით ააგო კრპები, ისინი იმ ვაჭრებისთვის აიგო რომლებსაც იერუსალიმში უნდა გაეცლოთ. სოლომონის რეფორმით ისრაელზე გამავალი სავაჭრო გზები უკვე იერუსალიმში იყრიდა თავს და სხვადასხვა მიმდევრობის მრავალ ვაჭარს იერუსალიმში თავისი სალოცავი უნდა დახვედროდა. ეკონომიკურად გამართლებული გადაწყვეტილება ერთის მხრივ ამდიდრებდა ებრაულ სახელმწიფოს, მაგრამ ღვთის ნების ამგვარი უგულვებელყოფა გაცილებით დიდ საფასურად დაუჯდა ისრაელის სახელმწიფოს, იგი მომავალში ორად გაყოფილი აღმოჩნდა.

რომის მემკვიდრე წერდა – ომზე უფრო საშიშმა – ფუფუნებამ მოიცვა რომი, იგი ვნებასა და ცოდვაში დაინთქა.

* * *

(ეკონომიკური ურთიერთობების ეთიკა სხვადასხვა კონფესიების ადამიანებში)

სხვადასხვა რელიგიურ-კულტურული გაერთიანებები მეტნაკლები წარმატებით ერევიან ერთმანეთისაგან სრულიად განხსვავებულ – ეთიკისა და ეკონომიკის სფეროს ურთიერთ გადაკვეთის პრობლემებში.

ისლამი კრძალავს მევახშეობას და ზოგიერთ ქვეყანაში ოფიციალურადაც კია აკრძალული, მისი ზოგიერთი სახე გერმანიაშიც აკრძალულია. შეზღუდულია კაზინოები ამერიკაში, ევროპაში.

პროტესტანტებმა ჩამოაყალიბეს გარკვეული მორალური ნუსხა, რეკომენდაციებისა და აკრძალვებისა მორწმუნე პროტესტანტებისთვის, რომლებიც ეკონომიკაში არიან ჩართული.

მათ შორის იკრძალება: ალკოგოლიზმი, გაუმართლებელი სამომხმარებლო სესხები, ფლანგვა, გართობა, აზარტული თამაშები.

პროტესტანტულმა რეფორმატორებმა საერთოდ კაპიტალიზმის წარმოშობას შეუწყო ხელი. ამ მიმდინარეობაში მატერიალური სიმდიდრე ღვთივგამორჩეულობადაა შერაცხილი და ისინი ქონების დაგროვებისათვის რელიგიურად არიან მოტივირებულნი. აქ ღარიბი არ არის ღვთისაგან გამორჩეული და იგი უნდა ემორჩილებოდეს შეძლებულს.

იოანე ოქროპირი კი ბრძანებს: “უფალმა სხვადასხვა ოდენობით მოგვცა სიმდიდრე, რომ ერთმანეთს ვეხმარებოდეთ”

ეთიკის ნორმები, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას გამსჭვალავს წმინდა წერილის გარკვეულ წაკითხვაზეა დაფუძნებული. პროტესტანტული შრომითი ეთიკა მისი შინაგანი იმპულსით, რომელიც მიმართულია იქეთკენ რომ მორწმუნე მუდამ განიცდიდეს თავის რჩეულობას, კარგად

ასრულებს მთელი მატერიალური ეკონომიკისათვის მამოძრავებელი დოპინგის ფუნქციას. პროტესტანტულ ეთიკაში მიჩნეულია, რომ ხარისხიანი პროდუქტის ან მომსახურების გაყიდვა არის სიკეთე მისი უმაღლესი შინაარსით.

პროტესტანტიზმი ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართულ ადამიანებს კონკრეტულ ნორმებს უწესებს:

მატერიალისტურ ეკონომიკაში ადამიანის მორალურ ფასეულობათა ნიშნები შეიძლება მოტივირებული იყოს მომავალი ეკონომიკური გათვლებით და პირიქით ეკონომიკური კეთილდღეობა შესაძლოა იძლეოდეს გარკვეული მორალური სახის შექმნის საშუალებას.

მატერიალისტურ ეკონომიკაში პროფესიონალიზმი ის სფეროა სადაც იკვეთება ეთიკა და ეკონომიკა. (წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია საზოგადოების შეფასებაზე).

იქნება გეგონოს, ვინც კაი საქმეს ჰშვება, სახელისათვის ჰშვება? არა, სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედ ჰყიდიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნც გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე, საქმე საქებური იყოს და გულის წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ.

ილია ჭავჭავაძე

* * *

(ეკონომიკური ეთიკა მართლმადიდებელი ადამიანისთვის)

რა ტიპის ცივილიზაციას აყალიბებს მართლმადიდებლური ეთიკა? რა არის განსაკუთრებული მართლმადიდებლურ მორალში? რა პრაქტიკულ იმპულსებს აყალიბებს იგი ადამიანის ეკონომიკურ სფეროში მოღვაწეობისას?

მატერიალისტური ეკონომიკა უარყოფილი არ უნდა იქნეს, არამედ იგი შინაგანად უნდა იყოს გადალახული და დანახული უნდა იქნას მისი შემოსაზღვრულობა. მსგავსად როგორც მატერიალისტური მეცნიერების მრავალ შედეგს არ უარყოფთ არამედ მის შეზღუდულობაზე ვსაუბრობთ.

მატერიალისტური ეკონომიკის შეცდომა ის არის, რომ იგი ჭეშმარიტების ერთ ნაწილს წარმოგვიდგენს, როგორც სრულ ჭეშმარიტებას.

მართლმადიდებლური ეთიკის შესაბამისად, წმინდა წერილზე და წმინდა მამათა გამოცდილებაზე დაყრდნობით შესაძლებელია გარკვეული ნორმების გამოკვეთა რომელზედაც შეიძლება ააგოს ურთიერთობები მართლმადიდებელმა ადამიანმა ეკონომიკური საქმიანობისას.

ადამიანი არ უნდა იქცეს გლობალური ეკონომიკის ფუნქციონერად, მან არ უნდა შეწყვიტოს არსებობა როგორც შემოქმედმა სუბიექტმა.

უარი უნდა ითქვას გონების უსასრულო შესაძლებლობებზე.

უარი უნდა ითქვას მკაცრ რაციონალურ ადმინისტრირებაზე.

შედგეს სინთეზი რაციონალიზმსა და მართლმადიდებლურ ეთიკას შორის.

ადამიანის ცხოვრება არ უნდა იქცეს ეკონომიკურ პროცესად. ეკონომიკა არ უნდა იქცეს ცხოვრების ფილოსოფიად.

ქრისტეს მიმდევარ ადამიანს მუდამ უნდა ახსოვდეს რომ “სადაც არნ საუნჯე” მისი “მუნცა იყოს გული” მისი და მას არც ის უნდა მიაჩნდეს, რომ კერძო საკუთრების ქონა ბოროტებაა ხოლო სიღარიბეში ცხოვრება სიკეთე, და არც მატერიალური სიმდიდრის ქონას უნდა გაურბოდეს მატერიალურ ურთიერთობებში ჩაკეტვის შიშით.

პროტესტანტულმა მოძრაობამ ეკონომიკურ ეთიკას მისცა იგივე რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. მეცნიერება დარჩა ღმერთის გარეშე და ჩაიკეტა მატერიის კვლევაში.

მართლმადიდებლური ეთიკის ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის მაგალითად შესაძლოა გამოდგეს მასთან უფრო ახლოს მდგომი აღმსარებლობის გამოცდილება.

სტაროვერობის განხეთქილება არ ეხებოდა ქრისტიანულ ეთიკას, ამიტომ მათ მიერ ორგანიზებული სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები და შინაგანი მორალი შორს არ უნდა იყოს მართლმადიდებლურისაგან.

სტაროვერები იყვნენ პირველი ვაჭრები რუსეთში. ისინი გამოირჩევიან რადიკალური ესქატოლოგიური განწყობით, ამიტომ მათი ჩართვა სავაჭრო საქმეში ამქვეყნიური, წარმავალი სიმდიდრის დაგროვების მოტივით არ იყო განპირობებული.

ისინი გამოირჩეოდნენ თავშეკავებული და მომჭირნე ცხოვრებით, მათი ყიდვა-გაყიდვაში ჩართვა, რაც არცთუ სახარბიელო საქმიანობად მიიჩნეოდა, მოტივირებული იყო აუცილებლობით და თემში ვინც ამით იყო დაკავებული ითვლებოდა, რომ უსიამოვნო საქმის ტვირთვით დიდ მსხვერპლზე მიდიოდა საერთო ინტერესებისათვის და თანატომელთა სიყვარულით. საკუთარი ქონება შეზღუდული ჰქონდათ და მონაგებს საერთო ხაზინაში ინახავდნენ, მათი წრიდან მრავალი ქველმოქმედი მოღვაწეობდა რუსეთში.

საერთოდ მართლმადიდებლური ეთიკა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის შინაგანი მორალით მოტივირებულ აქტიურობას.

პრინციპულია განსხვავება პროტესტანტულ და მართლმადიდებლურ გამოხსნას შორის.

პროტესტანტიზმში გადარჩენა ასეთი სახისაა, ცოდვილი რომელიც იმსახურებს სასჯელს, რწმენის საშუალებით ღვთისაგან, როგორც ამინისტიას, ღებულობს პატიებას.

მართლმადიდებლური ეთიკით ეს არ არის იურიდიული კატეგორიის აქტი, არამედ მისი მიზანი სულის განკურნება და გაწმენდაა.

ამგვარად მართლმადიდებლური კულტურის მატარებელ საზოგადოების ურთიერთობებშიც უნდა ბატონობდეს არა კანონი არამედ ადამიანთა ურთიერთდახმარების ეთიკა.

ქრისტიანი ამქვეყნიური ცხოვრების განმავლობაში უნდა ემზადებოდეს მარადისობისათვის, რადგან იგი მოელის „ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა“. ამქვეყნიურ სიკეთეებსა და მარადიულ ცხოვრებას შორის ქრისტეს მიმდევარი უპირატესობას ანიჭებს მეორეს. მას შესაძლოა მნიშვნელოვანი საკუთრება გააჩნდეს, მაგრამ მისი სული არ უნდა იყოს მიწებზეული მატერიალურზე და საჭიროების შემთხვევაში უარის თქმა მასზე, მისი შინაგანი დისციპლინის შედეგი უნდა იყოს.

მაგალითისათვის აქ მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება მოვიყვანოთ წმინდა წერილში მოსაძიებელი სწავლებისა რაც უნდა განსაზღვრავდეს ადამიანის დამოკიდებულებას, მატერიალური სიმდიდრისადმი და სხვა ადამიანისადმი.

კუალად მსგავს არს სასუფეველი ცათამ საუნჯესა დაფარულსა ყანასა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით მისთვს წარვიდა და განყიდა ყოველი, რააცა აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი. 45. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათამ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა. 46. და პოის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალ-სასყიდლისაჲ, წარვიდა და განყიდა ყოველივე, რააცა ედვა, და მოიყიდა იგი.(მთ.13- 44.)

რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი. 41. და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლუ მის თანა ორიცა. 42. და რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევი.(მთ 5 -40.)

იგავნი 10

4. ზარმაცი ხელი აღარიბებს, ხოლო გამრჯეთა ხელი ამდიდრებს.

იგავნი 28

19. თავისი მიწის მუშაკი პურით დანაყრდება, ხოლო ვინც ამაოდ ირჯება, სიღარიბით დანაყრდება.

* * *

ამგვარად ქრისტიანი ნაკლებად ზრუნავს მიწიერ სიკეთეზე (რომელიც მოჩვენებად იქცევა და რომელზედაც წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს, რომ მხოლოდ პირობითად ეწოდება მას სიკეთე), უფრო დიდ ანუ სულიერ სიკეთესთან შედარებით, რომელიც მისთვის რეალურად იქცევა უმთავრეს ფასეულობად.

ასეთი გაცვლის იდეა არც არისტოტელესთვის ყოფილა უცხო - „კეთილსინდისიერების ჭეშმარიტება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი (ადამინი) ბევრს აკეთებს მეგობრებისა და მამულისათვის და მათთვის თავსაც სწირავს თუ საჭიროა. იგი ხარჯავს ქონებას და პატივს და საერთოდ რაც გააჩნია სიკეთეები, რაზეც კი სხვები არიან დამოკიდებულნი და თავისთვის იტოვებს მხოლოდ მორალურ, შინაგან სილამაზეს. ამ შემთხვევაში მეგობრებს შეხვდებათ ფული, ხოლო მას თავად შინაგანი სილამაზე, ასე რომ მას თავადვე ხვდება უმეტესი სიკეთე.

მე - 17 საუკუნეში პასკალი ცდილობდა გონებით შეშველებოდა რწმენას. მან გაამათემატიკურა ეს იდეა და მისცა მას ფორმა რომელსაც „პასკალის წყვილი“ ეწოდა“. იგი მსჯელობდა:

ღირს თუ არა მარადიული ცხოვრების უსაზღვრო ნეტარებების მიღწევაზე ზრუნვა მრავალი მიწიური სიკეთეებისა და სიამეებზე უარის თქმის გზით? თუ უმჯობესია გასინჯო რამდენიც შეიძლება მიწიური სიამეები და დაივიწყო მარადიული ნეტარება? მაგრამ რისკავს ადამიანი, რადგან დარწმუნებული არ არის მარადიული ცხოვრების არსებობაში. დარწმუნებული რომ ყოფილიყო ამაში, მისი ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა მარადიული ცხოვრებისაკენ ლტოლვა. მაგრამ იგი არც მარადიული ცხოვრების არსებობაშია დარწმუნებული. პასკალის აზრით არჩევანი მარადიული ცხოვრების სასარგებლოდ უნდა იყოს გაკეთებული, რადგან მცირე ალბათობა უსასრულო სიკეთის მოგებისა იძლევა უსასრულო შედეგს, მაშინ როცა დიდი ალბათობა სასრული სიკეთეების მოგებისა ყოველთვის იძლევა სასრულ შედეგს.

ალექსანდრე მაკედონელი ბრძოლის წინ თავის წილ სიმდიდრეს სრულად გასცემდა, ურიგებდა მეზობლებს, როდესაც მას უთხრეს შენთვის აღარაფერი დარჩაო – ალექსანდრემ უპასუხა: მე დამრჩა ყველაზე დიდი რამ - იმედი. -პატრიარქის ეპისტოლედან

წმინდა წერილი მრავალ მითითებებს გვაძლევს, ჩვენი დამოკიდებულებისათვის როგორც შრომითი კულტურისადმი მიწაზე, ასევე ზეციური სიმდიდრის არჩევისათვის.

სიმდიდრის მოხვეჭისაგან თავშეკავება იმთავითვე იქადაგა უფალმა სჯულში .

15. არა იპარო,

მეორე სჯული 24

19. ჰმკიდე თუ სამკალსა შენსა და დაგიშთეს შენ, მუნ მჭელეული, ნუ უკუნიქცევი აკრებად დაშთომილსა მას თავისა შენისასა, არამედ გლახაკისა მის იყავნ იგი, და მწირისა მის, ობლისა და ქურივისა მის, რათა კეთილი გეყოს შენ და გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა დღეთა მათ შინა საქმეთა ჳელთა შენთასა.

20. მო-თუ-ისთულებდე შენ ზეთისხილსა შენსა და დაგიშთეს, ნუ უკუნიქცევი მოკუფხულად დაშთომილისა მის, არამედ ნაკლულევანმან მან მწირმან, ობოლმან და ქურივმან მოიკუფხლონ იგი.

21. მო -თუ-ისთულებდე შენ საყურძნესა შენსა და დაგიშთეს მისგანი, ნუუკუე იქცევი მოკუფხულად, არამედ მწირმან, ობოლმან და ქურივმან მოიკრიბონ იგი.

22. მოიხსენე, რამეთუ შენცა დამონებულ იყავ ქვეყანასა მას ეგვიპტისასა. ამისთვის გამცნებ ყოფად ყოველსა ამა სიტყუასა.

მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის მნიშვნელოვანია ყველა საქმიანობის დროს ითვალისწინებდეს ისეთ ეთიკურ ნორმებს რომელიც მას და მის გარშემო მყოფთ დაიცავს ქრისტიანული მცნებების დარღვევისაგან. ეს ეთიკური ნორმები ერთის მხრივ უნდა იქცეს პატიოსანი შრომისა და ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობების მოტივად, მეორეს მხრივ კი გარკვეულ შემზღვეველ ფაქტორად უმეტესი სიკეთის არჩევნის გასაკეთებლად.

უადგილო არ იქნება აღინიშნოს, თუ რამდენად მიუღებელია ქრისტიანული ეთიკისთვის ისეთი საქმიანობა როგორცაა: აზარტული თამაშების ორგანიზებაში პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა, სხვადასხვა სახის მევახშეობა, ლატარია, ლომბარდი, ტოტალიზატორი (სადაც ყოველ დღე ათასობით ადამიანი იკრიბება ერთმანეთის შეცდომის თუ მოტყუების მოლოდინში), ლოტო, მევახშეობა და მსგავსი საქმიანობები, რომელიც ქრისტიანულ საფუძველზე არ არმოცენებულა და საზოგადოებაში ნეგატიური ემოციების გენერატორებად გვევლინებიან.

მევახშეობის შესახებ

მეორე სჯული (23)

19. ნუ მოჰკვდი ძმასა შენსა აღნადგინებსა ვეცხლისასა, ნუცა აღნადგინებსა საჭმლისასა,

ფსალმ (14)

1. უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკვდროს მთასა წმიდასა შენსა?

.....; რომელმან არა ზაკვა ენითა თვისითა და არცა უყო მოყუასსა თვისსა ბოროტი

4. და ყუედრებად მახლობელთა მისთა ზედა არა მოიღო. შეურაცხ არს მის წინაშე უკეთური, ხოლო მოშიშთა უფლისათა ადიდებს; რომელი ეფუცოს მოყუასსა თვისსა და არა ეცრუოს;

5. ვეცხლი მისი არა მისცა აღნადგინებად და ქრთამი უბრალოსა ზედა არა მოიღო; რომელმან ყოს ესე, იგი არა იძრას უკუნისამდე.

იგავნი (21)

6. სიცრუით მოხვეჭილი განძი წარმავალი ორთქლია და სიკვდილის ხაფანგი.

ორი სასწორის ქონა,

მეორე სჯული (25)

13. ნუ გექნება ჩანთაში ორი განსხვავებული საწონი - დიდი და მცირე.

14. ნუ გექნება სახლში ორი განსხვავებული საწყაო - დიდი და მცირე.

15. საწონი სრული და სწორი უნდა გქონდეს; საწყაო სრული და სწორი უნდა გქონდეს, რომ დღეგრძელი იყო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს.

16. რადგან საძაგელია უფლის, შენი ღმერთისთვის ყველა, ვინც ამას აკეთებს, ყველა, ვინც უკანონობას სჩადის.

ასევე მნიშვნელოვანია ახსოვდეს მართლმადიდებელ ადამიანს უფლის მცნება მოყვასის სიყვარულის შესახებ მის საქმიან მოკავშირეებთან მიმართებაში.

მეორე სჯული (24)

14. ნუ დაჩაგრავ მოჯამაგირეს და ღარიბ-ღატაკს, შენი მოძმე იქნება ის თუ შენს ქვეყანაში, შენს კარზე მცხოვრები მდგმური.

ლევ (19)

11. არა იპარვიდეთ და არცალა სტყუოდით, ნუცა ცილსა შესწამებნ კაცი მოყუასსა თვისსა.

12. და არა ჰფუცვიდეთ სახელითა ჩემითა ნაცვლად და არა შეაგინოთ სახელი უფლისა ღმრთისა თქუენისაჲ. მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი.

13. არა ავნო მოყუასსა შენსა და არცალა მო-რად-სტაცო. და ნუცალა დაადგრებინ სასყიდელი მორეწისაჲ შენ თანა განთიადმდე.

14. არარად ბოროტი ჰრქუა ყრუსა და წინაშე ბრმისა არა დასდვა საცთური და გემინოდენ უფლისა ღმრთისა შენისა. მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი.

15. არა ჰქმნეთ ცრუ სარჩელსა შინა, არცა თუალ-ახუნე გლახაკსა, არცა თუალ-ახუნე პირსა ძლიერისასა სიმართლით განსაჯო მოყუასი შენი.

იერემია 22

13. ვაი იმას, ვინც უსამართლობით იშენებს სახლს და უკანონოდ - ზემოთვალეებს; ვინც მუქთად ამუშავებს თავის ახლობელს და გასამრჯელოს არ აძლევს

15. თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან ღარიბია იგი და შენი იმედი აქვს; არ გიჩვილოს უფალთან და ცოდვა არ დაგედოს.

მნიშვნელოვანი დანაკარგია ნდობის დეფიციტი, რომელიც პირდაპირი ხელის შემშლელია ორ ადამიანს შორის საქმის ქრისტიანულ საფუძველზე წარმოებისა. საჭიროა ჯანსაღი, პატიოსანი დამოკიდებულების ქონა, როგორც საკუთარი საქმისადმი ასევე საქმის წარმოების ისეთი თანმდევი შემადგენელისადმი, როგორცაა კონკურენცია, გადასახადი, სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება, ქრთამი. ნალოგი.

გვახსოვს სახარებიდან მაცხოვრის მიერ გადასახადის გადახდა.

(მთ. XVII, 24.)

ნებისმიერი მორალი შედგება შეფასებებისაგან, რომელიც ან წაახალისებს ან აბრკოლებს ადამიანის ამა თუ იმ ქცევას, მათ შორის მართლმადიდებლური ეთიკაც საღვთო მოძღვრების შესაბამისად მიმართავს მორწმუნეთა ქცევას ნებისმიერ საქმიანობაში.

შესაძლებელია მართლმადიდებლური მოძღვრების საფუძველზე შეიქმნას არა გამატერიალურებული, როგორც პროტესტანტიზმშია პატიოსანი შრომის დამამკვიდრებელი შრომის ეთიკურ ნორმათა სიმრავლე, რომელიც თავის მხრივ საზოგადოებაში ეკონომიკური ურთიერთობისას გარკვეულ კოლევიალურობის განცდას შექმნის და ისინი მეტი ნდობით იქნებიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. დაიცავენ ურთიერთსიყვარულის მცნებას.

ეს ეთიკური ნორმები წმინდა წერილისა და კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი გამოცდილებების საფუძველზე ადამიანში ასაზრდოვებდეს ისეთ თვისებებს უნდა აყალიბებდეს როგორცაა, მოკრძალება, ზრდილობა, სიმართლე, მოთმინება და პირიქით აღმოფხვრიდეს ამპარტავნებას, ეგოიზმს, დაუმსახურებელი კეთილდღეობის სურვილს.

მშრომელი ადამიანის შინაგანი წესიერება იმასაც უნდა გულისხმობდეს, რომ მშრომელი ორიენტირებულია არა ფულის შოვნაზე არამედ საქმის ხარისხიანად შესრულებაზე.

საერთოდ ეს ნორმები უნდა აძლევდნენ ადამიანს ისეთ სამეურნეო საქმიანობის ეთიკურ საფუძველს, როცა ადამიანი იმავდროულად ღმერთთან არის თანხმობაში.

კოლასელთა 3 -12

ყოველსავე, რასაც იქმოდით სიტყვთ გინა თუ საქმით, ყოველსავე სახელითა უფლისა იესუმსითა ჰმადლობდით ღმერთსა და მამასა მის მიერ.

ანუ უნდა მოხერხდეს მართლმადიდებლობის უმაღლეს ფასეულობათა მოცულობის, პროექტირება ეკონომიკურ ურთიერთობათა სიბრტყეზე. და ადამიანი ერთდროულად უნდა მოქმედებდეს ამ ორ არეში, უმაღლესის უპირატესობით უმდაბლესსზე.

თანამედროვე პირობებშიც არის შესაძლებელი იყო წარმატებული მეურნეც და ცხოვრობდე ბიბლიური პრინციპებით.

ადამიანს შეიძლება შეუქმნათ ყველა გარემო პირობა საქმის წარმოებისათვის, მაგრამ თუ მას შრომისათვის დამახასიათებელი უნარები არ გააჩნია ნებისმიერი საქმე შესაძლოა დასრულდეს წარუმატებლად. ასეთი ადამიანისათვის ძალზე იოლია მატერიალური სიკეთის გაფლანგვა.

ხშირად მოგვისმენია მისი უწმინდესობის მიერ გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრება ჩვენს ქვეყანაში დასაქმებისა და შრომის კულტურის შესახებ.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ შრომა, შრომა დაულალავი და თავდადებული, მსგავსად იმ ქვეყნის მოქალაქეებისა, რომელთა ყოფასაც შევნატრით. ბრძანებს უწმინდესი თავის ერთერთ ეპისტოლეში.